

22 მაისი, 2017

თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს
ქალბატონ ნინო ბუაჩიძეს
მოსარჩელე ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას

განცხადება

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის წარმოებაში ადმინისტრაციული საქმე #3/8151-16 ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას, ზაზა წიკლაურის და შოთა ბუჩუკურის სარჩელისა გამო მოპასუხეების საქართველოს მთავრობის, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის თაობაზე.

საქართველოს ასკ-ის 1.2, მე-4, მე-19 მუხლების, საქართველოს სკ-ის 215.1 მუხლის თანახმად, წინამდებარე საქმეზე დასართავად წარმოგიდგენთ შემდეგ მტკიცებულებებს:

1. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2017 წლის 17 მაისის #4310 წერილი, რომლითაც მწვანე ალტერნატივას გადაეცა ინფორმაცია შპს „ენერგოტრანსი“-ს „500 კვ ძაბვის ქსანი-სტეფანწმინდის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის“ პროექტზე გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესრულების მიზნით წარდგენილი დოკუმენტები და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შემდეგ, პროექტთან დაკავშირებით სამინისტროში შექმნილი ან წარდგენილი დოკუმენტაციის /კორექტივების ასლი.

წერილიდან ირკვევა, რომ შპს „ენერგოტრანსი“-ს არ აქვს შესრულებული არცერთი პირობა, რომელიც მშენებლობის დაწყებამდე უნდა შეესრულებინა. რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განსახილველ საქმესთან მიმართებაში, მშენებლობის დაწყების შემდეგაც კი არ ყოფილა წარდგენილი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-2 პირობით მოთხოვნილი დოკუმენტები, რომლებიც „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის ბრძანების თანახმად, გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა ყოფილიყო წარდგენილი და განხილული:

- ავარიული სიტუაციების მართვის დეტალური გეგმა, სადაც ასევე ასახული იქნება ინფორმაცია ეგზ-ს ტექნიკური ავარიის (მ/შ სადენების განწყვეტის, ანძების წაქცევის) შემთხვევაში მოსახლეობაზე ზემოქმედების სახეების და შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ;
- დაგეგმილი მისასვლელი გზების შესახებ დეტალური ინფორმაცია, რომელიც უნდა მოიცავდეს: თითოეული მონაკვეთის ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციას;

მინის ფართობის, საკუთრების ფორმისა და კატეგორიის შესახებ ინფორმაციას; ნიადაგურ დახასიათებას; ძირითად ტექნიკურ პარამეტრებს; გარემოზე გემოსალოდნელი გემოქმედების სახეებს; ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებებს; გარემოზე გემოქმედების შემარბილებელ/საკომპესაციო ღონისძიებებს;

- სამშენებლო ბანაკ(ებ)ისა და სამშენებლო მოედნ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია, რომელიც უნდა მოიცავდეს: ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციას; მინის ფართობის, საკუთრების ფორმისა და კატეგორიის შესახებ ინფორმაციას; ნიადაგურ დახასიათებას; სიტუაციურ და სქემატურ ნახაზებს, ფართობისა და მასზე განთავსებული ობიექტებს პარამეტრების მითითებით და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპების გარემოსდაცვითი მართვის დეტალური გეგმა.

ასევე, არ არის წარდგენილი მე-10 პირობით გათვალისწინებული ბოლოლოგიური კვლევის შედეგები შესაბამისი შემარბილებელი/საკომპესაციო ღონისძიებების აღწერით, რომელიც ეგზ-ს მშენებლობის დაწყებამდე უნდა ყოფილიყო წარდგენილი სამინისტროში.

2. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე გემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსის 2017 წლის 2 მაისის წერილი #3888, რომელის თანახმად, გარდა გემოალინიშნულისა, არ არის სრულად შესრულებული მე-7 პირობა („ვინაიდან ეგზ-ს ტრასის დერეფანი მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს დაქვემდებარებულ ტყის ფონდში, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე აღნიშნული საკითხი უნდა შეათანხმოს ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან“); ასევე, შპს „ენერგოტრანსს“ სამინისტროსთვის მშენებლობის დაწყების თაობაზეც კი არ უცნობებია.

3. შპს „ენერგოტრანსის“ დირექტორის 2017 წლის 11 მაისის #376 წერილით წარდგენილი „გარემოზე გემოქმედების ნებართვის პირობების შესრულების სტატუსი“.

4. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, 2017 წლის 23 მარტს დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქაისხევის დასახლება ბანცურიანთკარში დათვალიერების შედეგად შედგენილი აქტი.

5. [საინფორმაციო ონლაინგამოცემა „მთის ამბების“ მიერ გამოქვეყნებული რეპორტაჟი პროექტის მიმდინარეობის შესახებ.](#)

პატივისცემით,

აღმასრულებელი დირექტორი

ნინო გუჯარაიძე



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის
სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF
GEORGIA



KA060150715505017

საქართველო, 0114 თბილისი, გ.გულუს ქ. N6; ტელ:2727200, 2727220, ფაქსი:2727237; www.moe.gov.ge
6 G. Gulus Str. 0114, Tbilisi, Georgia, Tel:(+995 32) 2727200, 2727220, Fax:2727237; www.moc.gov.ge

3888

02 / მაისი / 2017 წ.

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება –
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის
აღმოსავლეთ რეგიონული სამმართველოს უფროსს
ბატონ ზაზა ოზაშვილს

ბატონო ზაზა,

თქვენი 2017 წლის 6 აპრილის N22592 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ შპს „ენერგოტრანი“-ს „500 კვ ძაბვის ქსანი-სტეფანწმინდა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის“ პროექტის 2016 წლის 24 მაისის N27 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულების მიზნით წარმოდგენილი აქვს მხოლოდ მე-10 პირობით განსაზღვრული ზოოლოგიური კვლევა, რომელზეც მიეწერა შენიშვნები (იხ. დანართში) და დაევალა საკვლევი ტერიტორიის ბიომრავალფეროვნების სრულყოფილი მონიტორინგის ანგარიშის მშენებლობის დაწყებამდე სამინისტროში წარმოდგენა.

შპს „ენერგოტრანი“-ს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-15 პირობის შესაბამისად სამინისტროსთვის არ უცნობებია ეგხ-ს სამშენებლო სამუშაოების დაწყების შესახებ.

ასევე გაცნობებთ, რომ შპს „ენერგოტრანი“-ს „500 კვ ძაბვის ქსანი-სტეფანწმინდა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის“ პროექტით გათვალისწინებული 7 222 895 კვ.მ. ფართობიდან, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს № 299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 2 910 535 კვ.მ. წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის ფონდს, საიდანაც სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სს „საქართველოს საელმწიფო ელექტროსისტემა“-სთვის 561 206 კვ.მ. ფართობზე მინიჭებული აქვს სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლებები, ხოლო 323 540 კვ.მ. ფართობზე სს „საქართველოს საელმწიფო ელექტროსისტემა“-ს მიერ მოთხოვნილია სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლება.

პატივისცემით,

10.05.2017

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვების
დეპარტამენტის უფროსი

თ. ჯამაღია

თამარ შარაშიძე



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის
სამინისტრო
**MINISTRY OF ENVIRONMENT AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF
GEORGIA**



KA060121985719617

საქართველო, 0114 თბილისი, გ.გულუას ქ. N6; ტელ:2727200, 2727220, ფაქსი:2727237; www.moe.gov.ge
6 G. Gulua Str. 0114, Tbilisi, Georgia, Tel:(+995 32) 2727200, 2727220, Fax:2727237; www.moe.gov.ge

4310

17 / მაისი / 2017 წ.

მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ
დირექტორს ქალბატონ ნინო გუჯარაიძეს

ქალბატონო ნინო,

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში მიმდინარე წლის 10 მაისს შემოსული #04/06-205 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ შპს „ენერგოტრანს“-ს „500 კვ ძაბვის ქსანი-სტეფანწმინდის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის“ პროექტის 2016 წლის 24 მაისის N27 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა დამტკიცებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 27 მაისის No-260 ბრძანებით (თქვენს მიერ მითითებული იყო 2016 წლის 19 თებერვლის No-91 ბრძანება). (დანართი 1)

გიგზავნით იმ დოკუმენტაციის ასლებს, რომლებიც შპს „ენერგოტრანს“-მა „500 კვ ძაბვის ქსანი-სტეფანწმინდას ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის“ პროექტის 2016 წლის 24 მაისის N27 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულების მიზნით წარმოადგინა სამინისტროში.

- ზოოლოგიური კვლევა, რომელზეც მიეწერა შენიშვნები და დაევალა საკვლევ ტერიტორიის ბიომრავალფეროვნების სრულყოფილი მონიტორინგის ანგარიშის მშენებლობის დაწყებამდე სამინისტროში წარმოდგენა; (დანართი 2)
- ეგხ-ის ანძების უბნის დეტალური გეოტექნიკური კვლევის ანგარიში და ეგხ-ის მისასვლელი გზების სიტუაციური რუკები. აღნიშნული მასალა სამინისტროში შემოსულია 2017 წლის 11 მაისს და ამჟამად განხილვის ეტაპზეა. (დანართი 3)

ასევე გიგზავნით ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შემდეგ, პროექტთან დაკავშირებულ, სამინისტროში შემოსულ და ასევე შემუშავებულ დოკუმენტაციას (დანართი 4) და გაცნობებთ, რომ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, 2017 წლის 23 მარტს დათვალაიერებულ იქნა დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქაისხევის დასახლება, ბანცურიანთ კარი და დადგინდა, რომ შპს „ენერგოტრანსი“-ს დარღვეული აქვს კომპანიაზე გაცემული 2016 წლის 24 მაისის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-2, მე-7, მე-8, მე-9, მე-11, მე-12, მე-13 და მე-15 პირობები.

აღნიშნულთან დაკავშირებით გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში მიმდინარეობს საქმისწარმოება და გატარდება კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებები.

დანართი 965 გვერდი და 12 ფოტოსურათი.

პატივისცემით,

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის
უფროსი (საჯარო ინფორმაციის გაცემაზე
პასუხისმგებელი პირი)



ეკატერინე ბენდელიანი

11/05/2017

N 376

376-01-2-201705111707



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს

ბატონ გიგლა აგულაშვილს

ბატონო გიგლა,

გიგზავნით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება № -260 - ით დამტკიცებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით N 27 (24.05.2016) გათვალისწინებული, ქსანი სტეფანწმინდას“-ს ეგხ-ს პროექტის გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობების რეალიზაციის კონტექსტში ჩატარებული გადამცემი ხაზის ანძების უბნების დეტალური გეოტექნიკური კვლევის ანგარიშს და ეგხ-ს მისასვლელი გზების სიტუაციურ რუკებს (არსებულს და ასაშენებელს).

დანართები:

1. გადამცემი ხაზის ანძების უბნების დეტალური გეოტექნიკური კვლევის ანგარიში, ქალაქის ვერსია - 950 გვერდი.
2. ეგხ-ს მისასვლელი გზების სიტუაციური რუკები, ქალაქის ვერსია -14 გვერდი
3. გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობების შესრულების სტატუსი 2017 წლის 11 მაისის მდგომარეობით , ქალაქის ვერსია - 4 გვერდი

პატივისცემით,
კახა სენიაშვილი

A handwritten signature in blue ink, consisting of several overlapping loops and a long, sweeping stroke extending upwards and to the right.

დირექტორი

ქსანი-ყაზბეგი-ს ეგხ-ს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობების შესრულების სტატუსი
2017 წლის 11 მაისის მდგომარეობით

N	პირობები	შესრულების სტატუსი
1	<p>უზრუნველყოს მშენებლობა და ექსპლოატაცია წარმოდგენილი გზშ-ს ანგარიშის შემარბილებელი ღონისძიებების, მენეჯმენტის და მონიტორინგის გეგმის შესაბამისად</p>	<p>ეგხ-ს მშენებლობა და ექსპლოატაცია განხორციელდება პროექტის გზშ-ში წარმოდგენილი შემარბილებელი ღონისძიებების, მენეჯმენტის და მონიტორინგის გეგმის შესაბამისად რის შესახებაც ყოველწლიური ანგარიშები წარმოდგენილი იქნება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში, ამავე დროს სამინისტროს წარმომადგენლების სამშენებლო საიტებზე მონიტორინგის ვიზიტის შემთხვევაში მათ ადგილზე წარედგინებათ კონტრაქტორის მიერ შემუშავებული მეთოდური აღწერები ჩატარებული/ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ, ინციდენტების ნუსხა, საჩივრების ურნა და სხვ.</p>
2	<p>სამშენებლო სამუშაოები დაწყებამდე სამინისტროში შესათანხმებლად წარმოადგინოს :</p> <ul style="list-style-type: none"> • ავარიული სიტუაციების მართვის დეტალური გეგმა, სადაც ასახული იქნება ინფორმაცია ეგხ-ს ტექნიკური ავარიის(მ/შ სადენების გაწყვეტის, ანძების წაქცევის) შემთხვევაში მოსახლეობაზე ზემოქმედების სახეების და შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ; • დაგეგმილი მისასვლელი გზების შესახებ დეტალური ინფორმაცია, რომელიც უნდა მოიცავდეს: თითოეული მონაკვეთის ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციას; ნიადაგურ დახასიათებას, ძირითად ტექნიკურ პარამეტრებს; გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების სახეებს; ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებებს; გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელ/საკომპენსაციო 	<p>აღნიშნული დოკუმენტი უახლოეს დროში წარმოდგენილი იქნება გარემოს დაცვის სამინისტროში</p> <p>ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში</p>

	<p>ლონისძიებებს.</p> <ul style="list-style-type: none"> სამშენებლო ბანაკებისა და სამშენებლო მოედნების შესახებ ინფორმაცია, რომელიც უნდა მოიცავდეს ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციას, მიწის ფართობის, საკუთრების ფორმისა და კატეგორიის შესახებ ინფორმაციას, ნიადაგურ დახასიათებას, სიტუაციურ და სქემატურ ნახაზებს, ფართობისა და მასზე განთავსებული ობიექტების პარამეტრების მითითებით და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპების გარემოსდაცვითი მართვის დეტალური გეგმა 	<p>აღნიშნული დოკუმენტი არსებობს ინგლისურ ენაზე, დოკუმენტის ქართული ვერსია უახლოეს დროში წარმოდგენილი იქნება გარემოს დაცვის სამინისტროში</p> <p>აღნიშნული დოკუმენტი უახლოეს დროში წარმოდგენილი იქნება გარემოს დაცვის სამინისტროში</p>
3	<p>იმ შემთხვევაში, თუ საპროექტო გზის მშენებლობა გამოიწვევს საკომუნიკაციო ობიექტების გადატანას, უზრუნველყოს აღნიშნული კომუნიკაციების მფლობელებთან შეთანხმება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოხდება გარემოზე ზემოქმედების ნებართვას დაქვემდებარებული ობიექტების ტრასის ცვლილება - უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების გავლა;</p>	<p>საპროექტო ეგხ-ს დერეფნის მოწყობა დაგეგმილია იმგვარად რომ იგი არ გამოიწვევს სხვა საკომუნიკაციო ობიექტების რელოკაციას.</p>
4	<p>იმ შემთხვევაში, თუ ეგხ-ს მშენებლობა გამოიწვევს არსებულ ქვესადგურ „ქსან“-ში დამატებითი სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას, აღნიშნული დაექვემდებარება „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების გავლას;</p>	<p>პროექტით გათვალისწინებული ეგხ-ს მშენებლობა სავარაუდოდ გამოიწვევს არსებულ ქვესადგურ „ქსან“-ში გარკვეული ცვლილებების განხორციელებას, მაგრამ ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ამისათვის აუცილებელი სამუშაოების წარმოება არ წარმოადგენს ქსანი - სტეფანწმინდის პროექტის ნაწილს არამედ სხვა ცალკეული პროექტი იქნება, რომლის განხორციელებისას კომპანია იხელმძღვანელებს საქართველოს კანონით გარემოზე ზემოქმედების შესახებ.</p>
5	<p>ყაზბეგის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში</p>	<p>საპროექტო ეგხ-ს დერეფნის მარშრუტი არ გადის ყაზბეგის ეროვნული პარკის</p>

	სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შემთხვევაში უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის #242 დადგენილებით განსაზღვრული სპეციალური დანიშნულების თვითსარგებლობის ნებართვის მიღება;	ტრადიციული გამოყენების ზონაში.
6	არ განახორციელოს ყაზბეგის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ზონაში ეგხ-ს სამშენებლო სამუშაოები (მ/შ ტექნიკის გადაადგილება);	სამშენებლო ტექნიკის გადაადგილება წინასწარ განსაზღვრულ მარშრუტებზე, ამათგან არც ერთი მონაკვეთი არ მდებარეობს ყაზბეგის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ზონის სიახლოვეს, ყოველივე ეს აღწერილი იქნება ტრანპორტის მართვის გეგმაში, რომელიც წარმოდგენილი იქნება კოტრაქტორის მიერ, შესათანხმებლად
7	ვინაიდან ეგხ-ს ტრასის დერეფანი მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეოს დაქვემდებარებული ტყის ფონდში, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე აღნიშნული საკითხი უნდა შეათანხმოს ტყის ფონდის მართვის უფლების მართვის ორგანოსთან;	ჩატარებული იქნა, ეგხ-ს სამშენებლო და საექსპლოატაციო დერეფნის ფარგლებში მოსაჭრელი ხე-მენარეების ძირობრივი აღრიცხვა, რისი დოკუმენტაციაც წარდგენილი იქნა ეროვნულ სატყეო სააგენტოში შესაბამისი ნებართვების მისაღებად.
8	ეგხ-ს მშენებლობის დაწყებამდე განახორციელოს ეგხ-ს ტრასის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები, მათ შორის ეგხ-ს ანძების დეტალური შესწავლა გრუნტები საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების მიხედვით დაადგინოს პრობლემური უბნები და შეიუმუშაოს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. აგრეთვე, განახორციელოს ეგხ-ს არეალში არსებული გეოდინამიკური პროცესების შესწავლა და შეიმუშაოს შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებები;	ეგხ-ს ტრასის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგები წარდგენილი იქნა ეკონომიკის სამინისტროში, პროექტის საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზისათვის. წინამდებარე წერილით წარმოგიდგენთ იმავე ანგარიშს. არსებული გეოდინამიკური პროცესების მონიტორინგის, პრევენციული/შემარბილებელი ზომები ზოგადად აღწერილია პროექტის გზმ-ში, დეტალური გეგმა მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპების გარემოსდაცვითი მართვის დეტალური გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება გარემოს დაცვის სამინისტროში უახლოეს მომავალში.
9	განახორციელოს ეგხ-ს ტრასის გეოლოგიური პროცესების მუდმივი მონიტორინგი, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე;	პროექტის მშენებლობის ეტაპზე მიმდინარეობს ეგხ-ს ტრასის გეოლოგიური პროცესების მუდმივი მონიტორინგი, საექსპლოატაციო ეტაპის მონიტორინგის გეგმა, დამატებით წარმოდგენილი იქნება გარემოს დაცვის სამინისტროში.
10	ეგხ-ს მშენებლობის დაწყებამდე, განახორციელოს ზოოლოგიური კვლევები. კვლევის შედეგები შესაბამისი	შესაბამისი კვლევა ჩატარებულია და უახლოეს დროში წარმოდგენილი იქნება გარემოს დაცვის სამინისტროში, 2017 წლის

	შემარბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიებების აღწერით წარმოადგინოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში;	19 მაისში.
11	ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის შედეგები მშენებლობის ეტაპზე წელიწადში ორჯერ, ხოლო ექსპლოატაციის ეტაპზე წელიწადში ერთხელ წარმოადგინოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში. მონიტორინგის შედეგად, საჭიროებისამებრ, შეიმუშაოს დამატებითი შემარბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიებები;	კვლევების განხორციელება დაწყებულია, შესაბამისი ანგარიშები წარმოდგენილი იქნება პირობაში მოთხოვნილი გრაფიკის მიხედვით.
12	სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე განსაზღვროს ჭრას დაქვემდებარებულ მცენარეთა რაოდენობა სახეობების მიხედვით. საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილ სახეობებთან მიმართების ქმედებები განახორციელოს საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად;	ჩატარებული იქნა, ეგხ-ს სამშენებლო და საექსპლოატაციო დერეფნის ფარგლებში მოსაჭრელი ხე-მცენარეების ძირობრივი აღრიცხვა, რისი დოკუმენტაციაც წარდგენილი იქნა ეროვნულ სატყეო სააგენტოში შესაბამისი ნებართვების მისაღებად, მათ შორის „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ კანონით დაცული მცენარეების მოჭრის თაობაზე.
13	მშენებლობის ეტაპზე უზრუნველყოფს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება;	პროექტის მშენებლობის ეტაპზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა დროებით დასაწყობებული იქნება სამშენებლო საიტებზე და ანძების დამონტაჟების შემდგომ, იგი სრულად გამოიყენება ანძების ძირში და სიახლოვეს ნიადაგის საფარის აღსადგენად.
14	ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში დასკვნის გადაცემა განახორციელოს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით;	მიღებულია ცნობად
15	სამშენებლო სამუშაოების დაწყება და ეგხ-ს ექსპლუატაციაში გაშვება აცნობოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს.	შესაბამისი ინფორმაცია მიწოდებული იქნა

23.03.2017

ՏԺԾ

Էլեկտրոնային փոխանցում
Վճարագրություն

Ձեր փոխանցումը կատարվել է 17.03.2017 թ. Ժամկետ

№ 5114 թվականի վրա Գ. Ժամկետի համար և Վ. Վճարագրություն
№ 8091 թվականի վրա Վճարագրություն:

Վճարագրության կատարման արդյունքում անվճար փողերի կազմի
համաձայն ձեր հետ արժեքային փոխանցումների արդյունքում
կազմավորվել է ընդհանուր գումարը: Վճարագրության արդյունքում
փոխանցվել է ձեր կազմի վճարումը արդյունքում գումար:

Կազմի փոխանցումը ձեր համար արդյունքում արդյունքում (սեփական)
փոխանցվել է 2016 թ. արդյունքում - արդյունքում: Գումարային
գումարները ձեր կազմի կազմի/կազմի փոխանցումը և 64777:

Կազմի վրա ըստ կազմի 23-ը ձեր համար արդյունքում արդյունքում
արդյունքում, կազմի վրա կազմի արդյունքում կազմի արդյունքում
կազմի արդյունքում արդյունքում արդյունքում արդյունքում արդյունքում
արդյունքում արդյունքում արդյունքում արդյունքում արդյունքում արդյունքում
արդյունքում արդյունքում արդյունքում արդյունքում արդյունքում արդյունքում
X-471576 և -4667197:

Կազմի արդյունքում արդյունքում արդյունքում արդյունքում արդյունքում
արդյունքում արդյունքում արդյունքում արդյունքում արդյունքում արդյունքում
արդյունքում արդյունքում արդյունքում արդյունքում արդյունքում արդյունքում

Վճարագրության արդյունքում արդյունքում արդյունքում արդյունքում արդյունքում
արդյունքում արդյունքում արդյունքում արդյունքում արդյունքում արդյունքում
արդյունքում արդյունքում արդյունքում արդյունքում արդյունքում արդյունքում
արդյունքում արդյունքում արդյունքում արդյունքում արդյունքում արդյունքում

Կազմի արդյունքում արդյունքում արդյունքում արդյունքում արդյունքում
արդյունքում արդյունքում արդյունքում արդյունքում արդյունքում արդյունքում
արդյունքում արդյունքում արդյունքում արդյունքում արդյունքում արդյունքում
արդյունքում արդյունքում արդյունքում արդյունքում արդյունքում արդյունքում

ഈ ബുക്ക് ധാരാളം അദ്ധ്യായങ്ങളുള്ളതാണ്.
പുസ്തകം ബുക്ക് വായിച്ചിട്ട് തന്റെ പേര് എഴുതേണ്ടതാണ്.

പുസ്തകം വായിച്ചിട്ട് തന്റെ പേര് എഴുതേണ്ടതാണ്.

- ~~1. ...~~ 1. ...
- 2. ...
- 3. ...
- 4. ...
- 5. ...
- 6. ...
- 7. ...
- 8. ...
- 9. ...
- 10. ...
- 11. ...
- 12. ...
- 13. ...
- 14. ...
- 15. ...
- 16. ...
- 17. ...
- 18. ...
- 19. ...
- 20. ...